ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ოქტომბრის 31. № 24 ცხილისი

შინაარსი

განათლება.

141. მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მომუშავეების სამუშაო ხელფასის გადიდების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა ხელფასის გადიდების თაობაზე" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აპრილის 9-ის დადგენილების გატარების წესის შესახებ.

განათლება

141. დადგენილება ს.კ.ს.

მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მომუშავეების სამუშაო ხელფასის გადიდების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ისტრუქცია „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა ხელფასის გადიდების თაობაზე" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. აპრილის 9-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-19 №-ი, მუხ. 163) გატარების შესახებ და ეს ინსტრუქცია შემოღებულ იქნას სამოქმედოდ მთლად საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ჩათვლით.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. აგვისტოს 9. № 957.
ტფილისი.

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა

„მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა ხელფასის გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აპრილის 9-ის დადგენილების გატარების წესის შესახებ.

1. მუშაობის ორგანიზაცია.

1. მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა ხელფასის რაოდენობას ახალი განაკვეთების შესაბამისად განსაზღვრავს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების გამგე პირადად იმ სკოლებში, რომლებიც პედაგოგიური პერსონალისათვის ხელფასის მიცემის მხრით საქალაქო და სარაიონო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ხოლო იმ სკოლებში, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტზე იმყოფებიან,— ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

2. სკოლის გამგე ან დირექტორი პირადად შეამოწმებს წინასწარ თვითეული მასწავლებლის და სკოლის სხვა მომუშავის განათლებისა და სტაჟის დამამტკიცებელ დოკუმენტებს, შეადგენს თავისი სკოლის მასწავლებლებისა და სხვა მომუშავეების სიას ამასთანავე დართული ფორმის მიხედვით (იხ. დანართი 1) და თავისი მასწავლებლების დოკუმენტებთან ერთად პირადად წარუდგენს სახალხო განათლების სარაიონო ან საქალაქო განყოფილებას.

3. სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების გამგე განიხილავს, სკოლის გამგის ან დირექტორის თანდასწრებით, მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა სიებს და დოკუმენტებს, შეამოწმებს თვითეული მათგანისათვის განსაზღვრული თანრიგის სისწორეს განათლების და სტაჟის შესაბამისად, აგრეთვე თვიური ხელფასის რაოდენობის გამოანგარიშების სისწორეს და დაამტკიცებს თანრიგსა და ხელფასის განაკვეთს.

შენიშვნა. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ბიუჯეტზე ან ავტონომიურ თუ ცენტრალიზებულ ბიუჯეტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფი სკოლებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების დირექტორები ან გამგეები მე-2 მუხლში ხსენებულ დოკუმენტებს და სიებს წარადგენენ საქართველოს სსრ-ის ან ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატში.

4. სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების გამგე რაიონის (ქალაქის) კრებსითს ცნობებს წარადგენს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში, ან ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატში, ან ოლქის სახალხო განათლების განყოფილებაში—კუთვნილებისამებრ—და თანაც აღნიშნავს 1936 წლის ბიუჯეტით დაწესებულ ხელფასის ფონდს იმ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთათვის, რომელნიც აღნიშნულ არიან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის აპრილის 9-ის დადგენილებაში, და აგრეთვე ახალ ფონდს მიმდინარე წლის დარჩენილი თვეებისათვის.

შენიშვნა. აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატები და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილება წარუდგენენ სათანადო რესპუბლიკის და ოლქის კრებსითს ცნობებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

5. სკოლების და პედაგოგიური ტექნიკუმების მასწავლებელთა და სხვა მომუშავეთა თანრიგების განსაზღვრის მუშაობაში სახალხო განათლების განყოფილებებმა უნდა ჩააბან დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლები.

II. განათლებისა და პედაგოგიური სტაჟის განსაზღვრის წესი.

6. განათლება განისაზღვრება სათანადო სასწავლებლის დამთავრების შესახებ გაცემული დიპლომების ან მოწმობების მიხედვით (სასწავლებელთა ნუსხა—იხ. დანართი 2).

პედაგოგიური სტაჟი განისაზღვრება შრომის სიების ან მუშაობის ადგილიდან გაცემული მოწმობებისა და ოფიციალური ცნობების მიხედვით.

7. უკეთუ სკოლის დირექტორს, სასწავლო ნაწილის გამგეს ან მასწავლებელს არ მოეპოება განათლების დოკუმენტი, ამ მომუშავეების განათლებისა და სტაჟის ამა თუ იმ თანრიგისათვის მიკუთვნება შეიძლება ისეთი ცნობის საფუძველზე, რომელსაც დაადასტურებს მასწავლებელთა პროფკავშირის ორი წევრი და დაამოწმებს პროფკავშირის სარაიონო კომიტეტი, ხოლო იმ პირობით-კი რომ 6 თვის ვადაზე წარდგენილ იქნას დედანი დოკუმენტები, ან მათი ასლი.

8. პედაგოგიური მუშაობის სტაჟში ჩაითვლება მთელი დრო მუშაობისა: სკოლის მასწავლებლად, სკოლის გამგედ, სასწავლო ნაწილის გამგედ, სკოლის ან პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად; სახალხო განათლების ორგანოებში მუშაობა სასკოლო ინსპექტორის ან ინსტრუქტორის თანამდებობაზე; სასწავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური მუშაობა მეთოდურ და პედაგოგიურ კაბინეტებში, პედაგოგიურ სადგურებში; მუშაობა სკოლის ასაკამდე აღზრდის პედაგოგებისა, რომელთაც პედაგოგიური განათლება აქვთ; საბავშვო სახლში მუშაობა გამგედ, დირექტორად, სასწავლო ნაწილის გამგედ და აღმზრდელად, უკეთუ ამ მომუშავეთ აქვთ პედაგოგიური განათლება ან პედაგოგიური სტაჟი; კლასის განთავისუფლებულ ხელმძღვანელად მუშაობა საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში; პედაგოგიურ სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და სამეცნიერო დაწესებულებებში ყოფნის დრო, თუ ამას წინ უძღოდა და უშუალოდ მოსდევდა პედაგოგიური მუშაობა; მუშაობა ყველა დაწყებითს სკოლაში: ყოფილ სამინისტრო, საერობო, სახალხო, საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის მცოდნეობის სკოლებში, უმაღლეს დაწყებითს სკოლებში, გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებში, კომერციულ სასწავლებლებში, აგრეთვე მოზრდილთა სკოლებში, მათ შორის წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სკოლებში და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში, უკუთუ ამ პუნქტებში მუშაობას მუდმივი ხასიათი ჰქონდა, ე. ი. მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა; მუშაობა ტექნიკუმებში, პროფტექნიკურ სკოლებში და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში (საერთო-საგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთათვის) და ყოველგვარ სხვა, როგორც რევოლუციამდე არსებულ (სახელმწიფო, საერობო, კერძო და სხვ.), ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის სასწავლებლებში, რომლებიც თავიანთი პროგრამით უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს შეესაბამებიან.

შენიშვნა. კლასის მეთვალყურისა და კლასის დამრიგებელი ქალის თანამდებობაზე მუშაობა, აგრეთვე რელიგიური კულტის საგნების სწავლება რევოლუციამდე არ ჩაითვლება პედაგოგიური მუშაობის სტაჟში.

III. ხელფასის რაოდენობის განსაზღვრის წესი.

9. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აპრილის 9-ის დადგენილების თანახმად ხელფასი ემატება მხოლოდ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს და გამგეებს, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების და პედაგოგიური ტექნიკუმების მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს და დირექტორებს.

10. იმ დაწყებითი სკოლის გამგე, რომელშიაც ირიცხება არა ნაკლებ 240 მოსწავლისა, (და არა ნაკლებ 8 კლასისა), საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ან ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის გადაწყვეტილებით შეიძლება განთავისუფლებულ იქნას სამასწავლებლო მუშაობისაგან.

დაწყებითი სკოლის გამგეს, სამასწავლებლო მუშაობისაგან განთავისუფლებულს, ხელფასი ეძლევა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ-

კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აპრილის 9-ის დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად.

11. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. აპრილის 9-ის დადგენილებით დაწესებული გასამრჯელო რვეულების გასწორებისათვის თვეში 40 მან. რაოდენობით ეძლევა მასწავლებელს დამატებად ძირითადი განაკვეთისა ყოველდღე 3 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის მშობლიურ ენაში, ლიტერატურაში და მათემატიკაში არასრული საშუალო და საშუალო სკოლების V—X კლასებში და პედაგოგიურ ტექნიკუმებში. უკეთუ მასწავლებლის ყოველდღიური პედაგოგიური მუშაობა 3 საათზე მეტ ხანს გრძელდება, რვეულების გასწორებისათვის დაწესებული დამატებითი გასამრჯელო სათანადოდ გადიდდება.

მ ა გ ა ლ ი თ ი: არასრული საშუალო სკოლის მშობლიური ენის მასწავლებელი, რომლის სატარიფო განაკვეთი 400 მან. უდრის, რვეულების გასწორებისათვის იღებს თვეში 40 მან., თუ მისი მუშაობა უდრის ექვსდღიურში 15-ს, ხოლო შვიდდღიურში — 18 საათს. უკეთუ მასწავლებელს ექვს ან შვიდდღიურში აქვს მეტი ან ნაკლები საათები გასამრჯელო რვეულების გასწორებისათვის სათანადოდ გაუდიდდება ან შეუმცირდება.

12. პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის განაკვეთის განსაზღვრის დროს მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში დღისა და საღამოს განყოფილებების მოსწავლეთა საერთო კონტინგენტი. იმ პედაგოგიურ ტექნიკუმში, სადაც დაუსწრებელი სექტორი არსებობს, ამ სექტორის მოსწავლეთა კონტინგენტი ტექნიკუმის მოსწავლეთა საერთო რიცხვში არ შეიტანება.

პედაგოგიური ტექნიკუმის დაუსწრებელი სექტორის გამგეს ხელფასი მიეცემა მისი განათლების შესაბამისად, იმ განაკვეთის მიხედვით, რაც დაწესებულია ისეთი პედაგოგიური ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგისათვის, რომელშიაც მოსწავლეთა კონტინგენტი 300 კაცზე ნაკლებია.

13. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. აპრილის 9 ის დადგენილებით დაწესებული ხელფასი ეძლევა მასწავლებელს დღეში საშუალოდ 4 საათის პედაგოგიური მუშაობისათვის არასრული და საშუალო სკოლების და პედაგოგიური ტექნიკუმების I—IV კლასებში და დღეში საშუალოდ 3 საათის პედაგოგიური მუშაობისათვის V—X კლასებში.

ამის შესაბამისად აღნიშნული განაკვეთები ეძლევათ I—IV კლასების მასწავლებლებს ქალაქებსა და მუშათა დაბებში 20 საათისათვის ექვსდღიურში, ხოლო სოფლად—24 საათისათვის შვიდდღიურში; არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების V—X კლასების მასწავლებლებს-კი ქალაქებსა და მუშათა დაბებში—15 საათისათვის ექვსდღიურში, ხოლო სოფლად — 18 საათისათვის შვიდდღიურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ შვიდდღიურში ან ექვსდღიურში მასწავლებელს აქვს აღნიშნულ ნორმებზე მეტი ან ნაკლები საათები, მისი თვიური ხელფასი განისაზღვრება შემდეგნაირად: თვიური განაკვეთი გაიყოფა საათების ნორმაზე ექვსდღიურში ან შვიდდღიურში და მიღებული შედეგი გამრავლდება მასწავლებლის ფაქტიური დატვირთვის საათების რიცხვზე ექვსდღიურში ან შვიდდღიურში.

მაგალითი 1-ლი: ქალაქის საშუალო სკოლის VII—X კლასების ისტორიის მასწავლებლებს, 1-ლი თანრიგით და 5 წელიწადზე ნაკლები სტაჟით, აქვს ექვსდღიურში 18 საათი. ამ მასწავლებლის თვიური განაკვეთი დღეში 3 საათის ან ექესდღიურში 15 საათის მუშაობისათვის შეადგენს 360 მანეთს. ექვსდღიურში 18 საათისათვის ამ მასწავლებლის თვიური ხელფასი შეადგენს: $\frac{360 \times 18}{15} = 432$ მან.

მაგალითი მე-2: სოფლის დაწყებითი სკოლის მე-IV კლასის მასწავლებელს, განათლების 1-ლი თანრიგით და 8 წლის სტაჟით, აქვს კვირაში 26 საათი. ამ მასწავლებლის თვიური ხელფასი დღეში 4 საათის ან კვირაში 24 საათის მუშაობისათვის შეადგენს 270 მანეთს, 26 საათისათვის ამ მასწავლებლის ხელფასი თვეში შეადგენს: $\frac{270 \times 26}{24} = 292$ მან. 50 კაპ.

ამნაირად განსაზღვრული თვიური ხელფასი ეძლევა მასწავლებლებს ყოველთვიურად, იმის მიუხედავად, თუ რამდენი ექვსდღიური თუ შვიდდღიური ან სამუშაო დღეა სხვადასხვა თვეში მთელი წლის განმავლობაში.

შენიშვნა. იმ დისციპლინების მასწავლებლებისათვის, რომლებისათვისაც სასწავლო წლის სხვადასხვა თვეებში საათების სხვადასხვა რაოდენობაა განკუთვნილი, საშუალო დატვირთვა ექვსდღიურში ან შვიდდღიურში განისაზღვრება შემდეგნაირად: წლიური სასწავლო გეგმით ამა თუ იმ დისციპლინისათვის განკუთვნილი საათების რიცხვი გაიყოფა სასწავლო წლის ექვსდღიურების და შვიდდღიურების რიცხვზე.

14. დაწყებითი სკოლის III—IV კლასების მასწავლებელს, როცა იგი საგანს ასწავლის, ხელფასი ეძლევა სამასწავლებლო საათების ფაქტიური რაოდენობისათვის დაწყებითი სკოლის სათანადო კატეგორიის მასწავლებელთა განაკვეთების მიხედვით. უკეთუ მასწავლებელს ეძლეოდა ხელფასი ერთ წყებაში ორ ერთსახელიანი სრულკომპლექტიანი კლასის ხელმძღვანელობისათვის 1,5 განაკვეთი, ან სხვადასხვასახელიანი სრულკომპლექტიანი კლასების ხელმძღვანელობისათვის 1,75 განაკვეთი, ანდა ორ წყობაში ორი ერთსახელიანი სრულკომპლექტიანი კლასების ხელმძღვანელობისათვის 1,75 განაკვეთი დასასყიდლების ეს წესი 1936 წლის აპრილის 1-დან გაუქმებულია. იმ შემთხვევაში, როდესაც I-II კლასების მასწავლებელი აწარმოებს პედაგოგიურ მუშაობას დღეში საშუალოდ 4 საათზე მეტს, მას ეძლევა დამატებითი ხელფასი ნამუშევარი საათების რაოდენობის შესაბამისად; უკეთუ მასწავლებელი დღეში მუშაობს 8 საათს, მას ხელფასი ეძლევა ორი განაკვეთის რაოდენობით.

15. უკეთუ მასწავლებელი მუშაობს ერთდროულად ერთდაიმავე სკოლის I—IV, V—VII და VIII—X კლასებში, დატარიფებულ უნდა იქნას ცალცალკე I—IV, V—VII და VIII—X კლასების მიხედვით.

უკეთუ არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის მასწავლებელი ასწავლის რამდენსამე ისეთ საგანს, რაც სხვადასხვანაირად დაისასყიდლება (მაგ. ფიზიკა და ხაზვა), იგი დატარიფებულ უნდა იქნას თვითეულ საგანში ცალკე.

16. განსაკუთრებულრეჟიმიან დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს და მასობრივი სკოლების სათანადო განსაკუთრებულ კლასებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კლასები, ნერვიულ ბავშვთა სკოლები, სკოლა-სანატორიუმები და ამ კატეგორიების შესაბამისი სკოლები საბავშვო სახლებთან.

განსაკუთრებულრეჟიმიან სკოლებში V—VII კლასების მასწავლებლის ყოველდღიური დატვირთვა შეესაბამება არასრულ საშუალო სკოლებში არსებულ დატვირთვას, ხოლო I—IV კლასების მასწავლებლის დატვირთვა — დაწყებითს სკოლებში არსებულ დატვირთვას.

17. სოციალ-ეკონომიური და პედაგოგიური დისციპლინების მასწავლებლებს პედაგოგიურ ტექნიკუმებში, აგრეთვე საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ხელფასი ეძლევათ იმ განაკვეთების შესაბამისად, რაც დაწესებულია მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ფიზიკის მასწავლებელთათვის.

18. პედაგოგიური ტექნიკუმების დაუსწრებელი სექტორის მასწავლებლებს ხელფასი ეძლევათ იმ განაკვეთების შესაბამისად, რაც დაწესებულია პედაგოგიური ტექნიკუმების მასწავლებელთათვის (მუშაობის საათების თანაბარი რაოდენობისათვის).

19. სანიმუშო და საბაზო სკოლების მასწავლებლები და სხვა მომუშავეები ხელფასს იღებენ საერთო წესისამებრ.

20. სამასწავლებლო მუშაობის სტაჟის განსაზღვრის დროს, 1936 წლისათვის ხელფასის განაკვეთის დასაწესებლად, მიღებულ უნდა იქნას ის სტაჟი, რომელიც მასწავლებელს ჰქონდა 1935 წლის 1-ლ სექტემბერს.

შემდგომი დროისათვის ცვლილებები მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა განაკვეთებში, სტაჟის და განათლების შეცვლის შესაბამისად, სწარმოებს შემდგომი საბიუჯეტო წლის იანვრის 1-დან.

21. დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის განაკვეთები განისაზღვრება იმ ორივე ნიშნის მიხედვით, რაც დადგენილებით არის დაწესებული, სახელდობრ: მოსწავლეთა რაოდენობისა და კლასების რიცხვის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1-ლ ი: უკეთუ არასრულ საშუალო სკოლაში ითვლება 300 მოსწავლე, ხოლო კლასების რიცხვი 7 შეადგენს, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის განაკვეთი განისაზღვრება ისე, როგორც იმ სკოლის დირექტორისა და გამგისათვის, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 280 კაცს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია

მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მომუშავეებისა, რომლებზედაც ვრცელ
რალური კომიტეტის 1936 წლის აპრილის 9-ის

........................რაიონის........................

№№ რიგზე	დასახლებული პუნქ-ტის და სასოფლო სა-ბჭოს სახელწოდება და სკოლის ტიპი	ქალაქის თუ სოფლის სკოლა	მოსწავლეთა რიცხვი 1936 წლ. 1 აპრილისათვის	კლასების რიცხვი 1936 წ. 1 აპრილისათვის	მასწავლებლის და სკოლის სხვა მომუშავის გვარი, სახელი და მამის სახელი	თანამდებობა (მასწავლე-ბელი, სკოლის გამგე, დი-რექტორი, სასწავლო ნაწ. გამგე)
1	2	3	4	5	6	7
						დაწყებითი
1	სოფ. სინათლე, სინათლის სას. საბჭო	სოფლის	155	4	კობახიძე ივანე სვიმონის-ძე	მასწავლე-ბელი
2	. . . .					
3	. . . .					
						არასრული
1	ქალ. ფოთი	ქალაქის	285	7	მიქაძე ალე-ქსანდრე მიხეილის-ძე	მასწავლე-ბელი
2	. . . .					
3	. . . .					
						საშუალო
1	. . . .					
2	. . . .					
3	. . . .					

შენიშვნა 1. უკეთუ დაწყებით სკოლებში მასწავლებელი ერთდაიმავედროს ამეცადინებს ორ ლებლებისა).

შენიშვნა 2. უკეთუ სკოლის გამგე, დირექტორი, ან სასწავლო ნაწილის გამგე აძლევს გაკვეთი ნაწილის გამგე, ხოლო მე-12 სვეტში—რა საგნებს ასწავლის.

შენიშვნა 3. მე-16 სვეტში ჩაიწერება მასწავლებლის თვიური ხელფასი, რომელშიც შედის აგ სწორების, 10-პროცენტიანი დამატება 25 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟისათვის,

დანართი 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტ-
დადგენილება ხელფასის გადიდების შესახებ.

ქალაქის ....ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის.

განათლება (რომელი სა-სწავლებლის რამდენი კლასი ან კურსი დაამთავ-რა, ან რა კურსები და რა ხანგრძლივობის	განათლების შესახები დო-კუმენტის დასახელება, მი-სი ნომერი და გაცემის თარიღი	თანრიგი განათლების მიხედვით	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი (წლების რიცხვი)	რა საგნებს ასწავლის — (IV კლასებში აღინიშნება რომელ კლასს ასწავლის)	რომელ კლასებში	გაკვეთილების რიცხვი ექვსდღიურში ქალაქის სკოლაში, ან კვირაში სოფლის სკოლაში, I—IV, V—VII, VIII—X კლასებში ცალ-ცალკე.	თვიური განაკვეთი	ფაქტიური ხელფასი თვეში
8	9	10	11	12	13	14	15	16
სკოლები								
დაამთავრა ონის პედ-ტექნიკუმი	მოწმობა № 411, 1935 წ. 2 ივლისის თარიღით	1	11	ასწავლის IV კლასს	IV	26	300 მ.	325 მ.
საშუალო სკოლები								
დაამთავრა ქუთაისის პედტექნიკუმი	მოწმობა № 167, 1928 წ. 7 ივლისის თარიღით	1	7	ქართული ენა და ლიტერატ.	V-VIII	15	370 მ.	440 მ.
სკოლები								

ან მეტ კლასს, მე-5 სვეტში—„კლასების რიცხვი“—ჩაიწერება კომპლექტთა რაოდენობა (მასწავ-

ლებს, მე-7 სვეტში—„თანამდებობა“—იგი ჩაიწერება,—როგორც გამგე, დირექტორი, ან სასწავლო

რეთვე მისი დატვირთვა, კლასის ხელმძღვანელობის გასამრჯელო, გასამრჯელო რვეულების გა-
დაპატება შორეულ ადგილებში მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითი მე-2: უკეთუ სკოლაში 280 მოსწავლე ითვლება, ხოლო კლასების რიცხვი 8 შეადგენს, დირექტორს და სასწავლო ნაწილის გამგეს ხელფასი ეძლევათ ისე, როგორც იმ სკოლის დირექტორს და სასწავლო ნაწილის გამგეს, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 280 კაცს შეადგენს (კლასების რიცხვი 7-მდეა).

მაგალითი მე-3: უკეთუ სკოლაში 300 მოსწავლე ითვლება, ხოლო კლასების რიცხვი 8 შეადგენს, დირექტორს და სასწავლო ნაწილის გამგეს ხელფასი ეძლევათ იმ განაკვეთებით, რაც დადგენილია ისეთი სკოლებისათვის, სადაც 180-დან 580-მდე მოსწავლეა (7 კლასზე მეტი).

განსაკუთრებულრეჟიმიანი სკოლის დირექტორის და სასწავლო ნაწილისგამგის განაკვეთები განისაზღვრება მხოლოდ კლასების რიცხვის მიხედვით. ამასთანავე, მათზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. აპრილის 9-ის დადგენილების მე-9 მუხლი არა ვრცელდება.

22. დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის განაკვეთი არ უნდა შეიცვალოს წლის განმავლობაში, თუნდაც შეიცვალოს მოსწავლეთა რაოდენობა მოსწავლეთა დაკლებისა და მომატების გამო.

23. მორიგი შვებულების დროს, ხელფასი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 25-ის თარიღისა და 1563 №-ის დადგენილების გამონაკლისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-40 №-ი მუხ. 338), უნდა გაიცეს ახალი განაკვეთებით.

24. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. აპრილის 9-ის დადგენილება „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მომუშავეთა ხელფასის გადიდების შესახებ" არ იძლევა უფლებას სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობის დაწესებისათვის იმ სკოლებში, სადაც 1936 წლის შტატებითა და ხარჯთაღრიცხვით ეს თანამდებობა გათვალისწინებული არ არის.

დანართი 2.

ს ი ა

იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრებაც პედაგოგიური ტექნიკუმების დამთავრებას ეთანაბრება.

ა. რევოლუციამდე.

1. სამასწავლებლო სემინარია—ვაჟთა და ქალთა.
2. საერობო და სამინისტრო სამასწავლებლო სკოლები.
3. საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლა.
4. ქალთა გიმნაზია მე-8 პედაგოგიური კლასით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ვაჟთა გიმნაზია და რეალური სასწავლებელი, იმ პირობით, თუ გავლილია ხანგრძლივი, არა უმცირეს ვიდრე სამთვიანი, პედაგოგიური კურსები.

6. ექსტერნატი მასწავლებლის წოდების მისაღებად სასწავლო ოლქებთან და პედაგოგიურ სასწავლებლებთან.

7. საქალაქო სასწავლებელი, რომელიც დაარსებული იყო 1872 წლის დებულების თანახმად, და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, იმ პირობით, თუ გავლილია სამწლიანი პედაგოგიური კურსები.

8. ეპარქიული სასწავლებელი პედაგოგიური კლასით.

9. წმინდა ნინოს სასწავლებლები პედაგოგიური კლასით.

10. ანანოვისა და გაიანეს სახელობის სომხური ქალთა სკოლები პედაგოგიური კლასით.

ბ. რევოლუციის შემდგომ.

1. ცხრაწლედი სკოლა პედაგოგიური განხრით, იმ პირობით, თუ გავლილია ხანგრძლივი, სამთვიანზე არა ნაკლები, პედაგოგიური კურსები.

2. ათწლედი სკოლა, იმ პირობით, თუ გავლილია პედაგოგიური დისციპლინები და ჩაბარებულია ამ დისციპლინებში დაწესებული გამოცდა პედაგოგიურ ტექნიკუმებთან.

3. პედტექნიკუმების დაუსწრებელი კურსები, იმ პირობით, თუ მიღებულია დიპლომი ამ კურსების დამთავრების შესახებ.

4. ტფილისის ერთწლიანი პოლიტექნიკური შრომის ინსტიტუტი.

ს ი ა

იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრებაც ზოგად საშუალო განათლებას ეთანაბრება.

ა. რევოლუციამდე.

1. ვაჟთა გიმნაზია.
2. რეალური სასწავლებელი.
3. ქალთა გიმნაზია.
4. სასულიერო სემინარია.
5. ეპარქიული სასწავლებელი.
6. საქალაქო სასწავლებელი, რომელიც დაარსებული იყო 1872 წლის დებულების თანახმად, და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები (თუ ამის შემდგომ გავლილია ერთწლიანი სამასწავლებლო კურსები, რაც დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებას იძლეოდა).
7. ქალთა ინსტიტუტი.
8. ტფილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი ვინოგრადოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. რევოლუციის შემდგომ.

1. საშუალო სკოლა.
2. ცხრაწლედი და ათწლედი სკოლები.
3. სხვა (არაპედაგოგიური) ტექნიკუმები.

ს ი ა

იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრებაც ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრებას ეთანხმება.

ა. რევოლუციამდე.

1. სამასწავლებლო ინსტიტუტი.
2. საერთო-საგანმანათლებლო პედაგოგიური კურსები მოსკოვში, ალფეროვის მიერ დაარსებული.
3. მოსკოვის პედაგოგიური კურსები ტიხომიროვის სახელობისა აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან.
4. ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი ყოფ. მარიამისეული უწყებისა პეტერბურგში.
5. მარიამისეული ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური კურსები პეტროგრადში შემდეგი სპეციალობით: რუსული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია და უცხო ენები.
6. საშუალო სასწავლებლებისა და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა კურსები სასწავლო ოლქებთან და სამასწავლებლო ინსტიტუტებთან.
7. ის პირები, რომლებმაც დადგენილი წესით მოიპოვეს უფლება მასწავლებლობისა მაღალი ტიპის სკოლებში (რევოლუციამდე), რისთვისაც მათ ჩაბარებული აქვთ ექსტერნატი იმ სასწავლებლის სრულ კურსზე, რომელიც უფლებას იძლეოდა საერთო-საგანმანათლებლო საგნების მასწავლებლობისას მაღალი ტიპის სკოლებში.
8. ის პირები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლის სამი კურსი დაამთავრეს.

ახალი ენების დარგში.

9. ქალთა პედაგოგიური კურსები ქ. ოდესაში.
10. ლოხვიცკაია-სკალონის ახალი ენების ქალთა კურსები პეტროგრადში.
11. ბობრიშჩევა-პუშკინას კურსები ახალი ენებისა ქალთათვის პეტროგრადში.
12. პოლტორაცკაიას კურსები უცხო ენებისა ქალთათვის მოსკოვში.
13. სტეფანოვას კურსები უცხო ენებისა მოსკოვში.
14. ლავრენტიევას კურსები უცხო ენებისა პეტროგრადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მთავრობის კურსები ფრანგული ენისა პეტროგრადში.
16. უცხო ენათა კურსები ნიკოლოზის და ალექსანდრეს სახელობის ქალთა ინსტიტუტებთან პეტროგრადში და ეკატერინეს ინსტიტუტთან მოსკოვში.
17. სამხატვრო სასწავლებლები (სტროგანოვისა—მოსკოვში, შტიგლიცისა პეტროგრადში, ლოძში, პენზაში და სხვ.). (ხატვაში).
18. ახალ ენათა პედაგოგიური კურსები ვარშავაში.
19. უცხო ენათა კურსები დემიდოვისა პეტროგრადში.

ბ. რევოლუციის შემდგომ.

1. სახალხო განათლების ინსტიტუტები.
2. სახალხო განათლების პრაქტიკული ინსტიტუტები.
3. კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი.
4. უმაღლესი სასწავლებლის სამი კურსი.
5. ტფილისის 2 წლიანი და 3 წლიანი პედინსტიტუტები.

ს ი ა

იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრებაც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებას ეთანაბრება.

ა. რევოლუციამდე.

1. ყველა უნივერსიტეტი.
2. ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი პეტროგრადში.
3. ბეზბოროდკოს ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი ნეჟინში.
4. ბესტუჟევის უმაღლესი კურსები პეტროგრადში.
5. გერიეს ქალთა უმაღლესი კურსები მოსკოვში.
6. სახალხო განათლების სამინისტროს უწყების ქალთა უმაღლესი კურსები (ისტორიულ-ფილოლოგიური და ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტები).
7. მშრომელ ქალთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ქალთა უმაღლესი კერძო კურსები ხარკოვში.
8. შელაპუტინის ინსტიტუტი.
9. ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტი პეტროგრადში.
10. ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
11 პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
12. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი მოსკოვში.
13. სამთო ინსტიტუტი.
14. ელექტროტექნიკური ინსტიტუტი.
15. პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს აკადემია.
16. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ნოვო-ალექსანდრიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. პედაგოგიური აკადემია პეტროგრადში.

18. ფრებელის უმაღლესი კურსები პეტერბურგსა და კიევში.

19. მოსკოვის სამხატვრო საზოგადოების ფერწერისა, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი (ხატვაში).

20. კონსერვატორია (მუსიკაში).

21. პედაგოგიური სამხატვრო კურსები პეტროგრადის სამხატვრო აკადემიასთან (ხატვაში.)

22. სასულიერო აკადემია (ისტორიული და ლიტერატურული განყოფილებანი).

23. უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლები (სპეციალურ საგნებში).

24. ტფილისის ქალთა უმაღლესი კურსები ბლაგოვიდოვისა.

ბ. რევოლუციის შემდგომ.

1. ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. პედაგოგიური ინსტიტუტი და უკრაინის სსრ-ის სახალხო განათლების ინსტიტუტები.

3. კომუნისტური აღზრდის აკადემია კრუპსკაიას სახელობისა.

4. ყველა უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი (სპეციალურ საგნებში).

5. საღამოს პედაგოგიური ინსტიტუტი.

6. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი.

7. ის პირი, ვინც ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ერთი რომელიმე ზემოაღნიშნული სასწავლებლისა.

8. მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სამეცნიერო-პედაგოგიური კურსები.

9. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი.

შენიშვნა. სამხედრო დისციპლინების მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სამხედრო სკოლები და მ./გ. წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის გადასამზადებელი კურსები, აგრეთვე ყოფ. კადეტთა კორპუსები და სამხედრო სასწავლებლები არა ნაკლებ 2 წლის სწავლების ვადით, ეთანაბრებიან დასრულებული საშუალო განათლების მქონე პირებს.

სამხედრო დისციპლინების მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მ./გ. წითელი არმიის აკადემია, აგრეთვე ძველი არმიის აკადემია, ეთანაბრებიან დასრულებული უმაღლესი განათლების მქონე პირებს.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 47. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 20/IX; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X; ტირაჟი 2.000

თვლ. რწმ. № 87074. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 946.